No 61

23 ივლისი, 2019

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს
და
საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს და საბჭოს სამდივნოს პატივცემულო წევრებო,

ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების კონსორციუმის სახელით:

- საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა (საქართველო)
- ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაცია
- აივ-ის პრევენციის და ზიანის შემცირების კავშირი (მოლდოვა)
- ჰუმანური პოლიტიკის ცენტრი (ბულგარეთი)
- ზიანის შემცირების რუმინეთის ქსელი (რუმინეთი)

გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა და მოგახსენოთ, რომ ჩვენი ორგანიზაციების კონსორციუმი, 5% ინიციატივის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის „ყველასათვის ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება“ (***AP-5PC-2019-01/Health System Strengthening at all levels (local community to national) (HSS)***) საპასუხოდ, მუშაობს განაცხადზე, რომელიც რამოდენიმე ქვეყანას მოიცავს.

5% ინიციატივა არის ერთ-ერთი იმ ორი გზიდან, რომლითაც საფრანგეთს წვლილი შეაქვს შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ გლობალური ფონდის საქმიანობაში. 5% ინიციატივის ოპერაციულ მართვას ახორციელებს ფრანგული ექსპერტიზა (Expertise France) - საფრანგეთის ტექნიკური ექსპერტიზის საერთაშორისო სააგენტო, რომელიც ფუნქციონირებს საფრანგეთის ევროპისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით. 5% ინიციატივის მიზანია, უპასუხოს გლობალური ფონდის გრანტების მიმღები ქვეყნების მოთხოვნებს მაღალი დონის ექსპერტიზის მისაღებად, რათა მხარი დაუჭიროს და

გააძლიეროს მათი უნარი, დაგეგმონ, განახორციელონ, მონიტორინგი გაუწიონ, შეაფასონ და გაზომონ ზეგავლენა გლობალური ფონდის გრანტებთან დაკავშირებით.

2019 წლის იანვარში 5% ინიციატივამ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი „ყველასათვის ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება“[1]. ამ კონკურსის საპასუხოდ ქართულმა ორგანიზაციამ „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“ (თანადგომა), ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაციამ (EHRA), აივ-ის პრევენციის და ზიანის შემცირების კავშირმა (მოლდოვა), ჰუმანური პოლიტიკის ცენტრმა (ბულგარეთი) და ზიანის შემცირების რუმინულმა ქსელმა (რუმინეთი) შექმნეს კონსორციუმი, რათა შეემუშავებინათ მრავალქვეყნიანი განაცხადი. ინტერესთა გამოხატვის წერილი შეტანილ იქნა 5% ინიციატივაში. 2019 წლის 11 ივნისს აპლიკანტმა ორგანიზაციამ „თანადგომა“ მიიღო მოწვევა სრული განაცხადის წარსადგენად. ამჟამად მიმდინარეობს სრულ განაცხადზე მუშაობა.

პროექტის სახელწოდებაა: „მოწყვლადი თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების უნარების გაძლიერება აივ-ისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაციისა და ნაციონალურ ჯანმრთელობის სისტემებში მდგრადი დაფინანსების ადვოკატირებისათვის“.

პროექტის **მიზანია** ქვეყნებში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში თემების ჩართვის ხელშეწყობა და გაძლიერება, და სამოქალაქო საზოგადოების მიერ საკოორდინაციო პლატფორმების მხარდაჭერა/შექმნა ინტეგრირებული აივ/სრჯ სერვისების მდგრადი დაფინანსების ერთობლივი ადვოკაციისათვის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ოთხ შერჩეულ ქვეყანაში.

ამ მიზნის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი შემდეგი ამოცანების მიღწევას გეგმავს:

1. აივ-სა და სრჯ სფეროში მოღვაწე თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება საქართველოში, მოლდოვაში, ბულგარეთსა და რუმინეთში ჯანდაცვის სისტემების/მათი დაფინანსების შესახებ უნარების განვითარების და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სსო/თემების როლის გაზრდის გზით.
2. კოორდინირებული სათემო ადვოკაციის მხარდაჭერა აივ-ისა და სრჯ სერვისების ინტეგრირებული მიწოდებისათვის.

პროექტის კონცეფციის უფრო დეტალური აღწერა ქართულ და ინგლისურ ენებზე დანართად თან ერთვის წერილს (იხ. დანართი 1).

5% ინიციატივის საგრანტო კონკურსის მოთხოვნების მიხედვით, რამდენიმე ქვეყანაზე საგრანტო განაცხადის შეტანისას აპლიკანტმა ორგანიზაციამ, სხვა დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარადგინოს განაცხადის მხარდაჭერის წერილი იმ ქვეყნების საკოორდინაციო

[1] https://www.initiative5pour100.fr/wp-content/uploads/2019/01/TORs-AP-5PC-2019-01_HSS.pdf

საბჭოებისაგან, რომლებშიც არის დაგეგმილი პროექტის განხორიცელება. თითოეული საკოორდინაციო საბჭოს მიერ პროექტის მხარდაჭერის დემონსტრაცია არის წერილი, რომელსაც ხელს აწერს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე. წერილი უნდა გამოხატავდეს განაცხადის აქტივობების განხორციელების მხარდაჭერას იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი მოწონებული იქნება 5% ინიციატივის მხრიდან.

შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ განაცხადის კონცეფცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, დაუჭერთ თუ არა მხარს პროექტის აქტივობებს საქართველოში, მისი დაფინანსების შემთხვევაში. ძალიან მადლობელი ვიქნებით, თუ ამ საკითხს საბჭოს მომდევნო სხდომაზე ან ონლაინ კენჭისყრით განიხილავთ. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გთხოვთ, მოაწოდოთ კონსორციუმს, კერძოდ კი აპლიკანტ ორგანიზაციას მხარდაჭერის წერილი არა უგვიანეს 02.08.2019-ისა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში მოგვეცემა თანამშრომლობის შესაძლებლობა,

პატივისცემით,

ნინო წერეთელი
აღმასრულებელი დირექტორი
საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

დანართი 1

პროექტის სათაური: „მოწყვლადი თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების უნარების გაძლიერება აივ-ისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაციისა და ნაციონალურ ჯანმრთელობის სისტემებში მდგრადი დაფინანსებისათვის“

აპლიკანტი ორგანიზაცია: საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

აპლიკანტის ქვეყანა: საქართველო

პარტნიორები

პარტნიორი ორგანიზაცია 1: ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაცია
პარტნიორი ორგანიზაცია 2: აივ-ის პრევენციის და ზიანის შემცირების კავშირი
პარტნიორი ორგანიზაცია 3: ჰუმანური პოლიტიკის ცენტრი
პარტნიორი ორგანიზაცია 4: ზიანის შემცირების რუმინეთის ქსელი

პროექტის განხორციელების ქვეყნები: საქართველო, მოლდოვა, ბულგარეთი, რუმინეთი
პროექტის ხანგრძლივობა: 30 თვე
პროექტის სრული ბიუჯეტი: 750 000 €

პროექტის მოკლე მიმოხილვა:

შეთავაზებული პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი არის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალურ აზიის რეგიონი და ამ რეგიონის ოთხ ქვეყანას მოიცავს: საქართველო, მოლდოვა, ბულგარეთი, რუმინეთი. ეს ქვეყნები შერჩეულ იქნა პროექტის სამიზნედ იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც უკვაშირდება აივ/შიდსის პროგრამების დაფინანსებას და გლობალური ფონდის დაფინანსებიდან ტრანზიციას, რაზეც გავლენას ახდენს ევროკავშირთან ურთიერთობა. კერძოდ: საქართველომ და მოლდოვამ რამდენიმე ხნის წინ ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რასაც მოჰყვა სახელმწიფოების მხრიდან სხვადასხვა რეფორმების, მათ შორის ჯანდაცვის სისტემის რეფორმების, განხორციელების ვალდებულებები. ამავე დროს, ორივე ქვეყანას დაწყებული აქვს აივ-ისა და ტუბერკულოზის საპასუხო ღონისძიებების გლობალური ფონდის დაფინანსებიდან ადგილობრივ დაფინანსებაზე გადასვლის პროცესი. ბულგარეთი და რუმინეთი არის ევროკავშირის ქვეყნები, სადაც გლობალურმა ფონდმა დაასრულა აივ-ის პროგრამების დაფინანსება, ხოლო ტუბერკულოზის პროგრამები ტრანზიციის პროცესშია. ბულგარეთისა და რუმინეთის შემთხვევები ძალიან საგულისხმოა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც უახლოეს წლებში გაივლიან ტრანზიციის პროცესს. პროექტის სამიზნე ქვეყნების შეთავაზებული კომპოზიცია იძლევა შესაძლებლობას, ჩატარდეს სიტუაციის შედარებითი

ანალიზი, მოხდეს ღირებული გამოცდილების გაზიარება და განხილულ იქნეს კონკრეტული სპეციფიკა ტრანზიციის პროცესის მომავალთან დაკავშირებით.

ზოგადი მიზანი: გადაწყვეტილების მიღების პროცესებში თემების ჩართვის ხელშეწყობა და გაძლიერება, და სამოქალაქო საზოგადოების მიერ საკოორდინაციო პლატფორმების მხარდაჭერა/შექმნა ინტეგრირებული აივ/სრჯ სერვისების მდგრადი დაფინანსების ერთობლივი ადვოკაციისათვის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ოთხ შერჩეულ ქვეყანაში

სპეციფიკური ამოცანები:

1. აივ-სა და სრჯ სფეროში მოღვაწე თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება საქართველოში, მოლდოვაში, ბულგარეთსა და რუმინეთში ჯანდაცვის სისტემების/მათი დაფინანსების შესახებ უნარების განვითარების და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სსო/თემების როლის გაზრდის გზით.
2. კოორდინირებული სათემო ადვოკაციის მხარდაჭერა აივ-ისა და სრჯ სერვისების ინტეგრირებული მიწოდებისათვის.

დასახული ამოცანების მისაღწევად პროექტის მიერ გამოყენებული **ძირითადი სტრატეგია** არის თემების/სამოქალაქო საზოგადოების უნარების გაძლიერება. ექსპერტების ჯგუფი შეიმუშავებს ორ სატრენინგო მოდულს შემდეგ საკითხებზე: ა) ჯანდაცვის სისტემები, ჯანდაცვის დაფინანსება, საბიუჯეტო ციკლი და ტრანზიციის პროცესები და ბ) აივ-ისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირება ჯანდაცვის სისტემებში. ჩატარდება ორი რეგიონული ტრენინგი, სადაც შერჩეული ქვეყნებიდან მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო საზოგადოების 20 წარმომადგენელი, როგორც აივ-ის, ისე სრჯ სფეროებიდან. შემდეგ ნაციონალური პარტნიორი ორგანიზაციები ქვეყნებში ჩაატარებენ ამ ტრენინგების კასკადს ეროვნულ დონეზე, რათა მიწვდნენ და ჩართონ უფრო მეტი მოთამაშე. სრული სატრენინგო მასალა ხელმისაწვდომი იქნება სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატებისათვის რეგიონის 29 ქვეყანაში როგორც ინგლისურ, ისე რუსულ ენებზე ევრაზიის ზიანის შემცირებს ასოციაციის კონტაქტების ქსელის, სოციალური მედიისა და სპეციფიკური ვებგვერდის საშუალებით.

სხვა გამოყენებული სტრატეგიები იქნება კვლევა და საადვოკაციო ინსტრუმენტების შემუშავება ეროვნულ დონეზე. ნაციონალური ტრენინგების შემდეგ თითოეულ ქვეყანაში გამოცხადდება მცირე გრანტები, რათა: ა) ჩატარდეს თვისებრივი კვლევა ეროვნულ დონეზე, რომელიც გამოიკვლევს აივ-ისა და სრჯ სერვისების ინტეგრაციის შესაძლებლობებს; ბ) მომზადდეს პოლიტიკის ნარკვევი, რომელშიც აღწერილი იქნება ინტეგრაციის ვარიანტები და სარგებელი განაწყვეტილების მიმღებთათვის; და გ) ჩატარდეს ეროვნული სამუშო შეხვედრა, სადაც შემუშავდება ინტეგრაციის სტრატეგია ქვეყნის დონეზე. შედეგად, თითოეულ ქვეყანას

მომზადებული ექნება ინსტრუმენტები ინტეგრაციის შემდგომი ერთობლივი ადვოკაციისათვის.

პროექტის დაწყებიდანვე შეიქმნება საზედამხედველო საბჭო, რომელსაც ექნება ზოგადი საზედამხედველო ფუნქცია. საბჭოში მოწვეულ იქნებიან ძირითადი ტექნიკური პარტნიორების (WHO, UNAIDS, სხვ.) და დონორი ორგანიზაციების (GF, OSF, Elton John Foundation) წარმომადგენლები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონიდან. საზედამხედველო საბჭო უზრუნველყოფს პროექტის შედეგების ფართო გამოყენებას რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ. პროექტის ფინალური კონფერენცია თავს მოუყრის პროექტის განმახორციელებლებსა და ბენეფიციარებს, რათა გაშუქდეს მიღწევები, ძირითადი ეტაპები და პროექტის შედეგად მიღებული გამოცდილება.

აივ-ისა და სრჯ სფეროში მომუშავე მოწყვლადი თემები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შერჩეულ ოთხ ქვეყანაში წარმოადგენენ შეთავაზებული პროექტის **პირდაპირ ბენეფიციარებს**. ირიბად, გადაწყვეტილების მიმღებნი ქვეყნების დონეზე - ქვეყნების საკოორდინაციო საბჭოები, რომლებიც უძღვებიან აივ-ისა და ტუბერკულოზის საპასუხო ღონისძიებებს, სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი მონაწილეობით, ეროვნული პლატფორმები თუ ქსელები, ისევე, როგორც მთავრობები - მიიღებენ სარგებელს პროექტისაგან.

პროექტის ძირითადი ამოცანა გულისხმობს გლობალური ფონდის პროგრამების ეფექტურობის გაძლიერებას თემებისა და სსო-ების გაძლიერების მხარდაჭერით, განსაკუთრებით ტრანზიციის პერიოდში. პროექტის აქტივობები განხორციელდება ეროვნულ დონეზე გარდამავალ გეგმებთან შეთანხმებით. გარდამავალი გეგმის დოკუმენტები, ისევე, როგორც ეროვნული აივ/შიდსის პროგრამები/სტრატეგიები და ეროვნული სრჯ პროგრამები/სტრატეგიები საბაზისო ინფორმაციას მიაწვდიან ქვეყნებში ტრენინგისა და საადვოკაციო აქტივობებს, ისევე, როგორც აივ-ისა და სრჯ სერვისების ინტეგრაციის სტრატეგიულ დოკუმენტებს.

პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციებს - თანადგომას და პროექტის პარტნიორებს სხვა ქვეყნებიდან აქვთ თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია, რაც პროექტის წარმატებული განხორციელების მყარ საფუძველს ქმნის.

Project title: **Capacity building for communities and CSO's for HIV and SRH service integration and sustainable funding in national health systems**

Applicant organization: Center for Information and Counseling on Reproductive Health – Tanadgoma

Applicant country: Georgia

Partners:
Partner organization 1: Eurasian Harm Reduction Association
Partner organization 2: Union of HIV prevention and Harm Reduction
Partner organization 3: Center for Humane Policy
Partner organization 4: Romanian Harm Reduction Network

Countries of project implementation: Georgia, Moldova, Bulgaria, Romania
Project duration: 30 months
Total budget for project: 750 000 €

Project overview:

The **geographic area** of the proposed project lies within the EECA and targets 4 countries of this region: Georgia, Moldova, Bulgaria, Romania. These countries were selected for the project based on the situation connected to the HIV/AIDS programs financing and transitioning from the Global Fund funding, influenced by the relationship with the EU. Namely: Georgia and Moldova have recently signed Association Agreement with the EU, followed by various reforms to be fulfilled by their respective governments, including healthcare reforms. At the same time, both countries have started the transitioning process from the GFATM to domestic funding of HIV and TB response. Bulgaria and Romania are EU member countries, from where the GFATM has withdrawn HIV funding, and TB programs are in the process of transition. Cases of Bulgaria and Romania are of great value for the countries that will face transition to domestic funding in the coming years. Suggested composition of the project target countries gives possibility to conduct comparative analysis of the situation, share valuable experience and consider particular specifics regarding future of the transitioning process.

Overall objective: Promoting and strengthening community involvement in national decision-making process and supporting/creating civil society coordinated platforms for joint advocacy for sustainable funding of integrated HIV/SRH services in four selected countries of EECA.

Specific objectives:

1. Strengthening national HIV and SRH communities and CSOs in Georgia, Moldova, Bulgaria and Romania through capacity building on health systems/their financing and CSOs/communities role in the decision-making processes.
2. Supporting coordinated community advocacy for integrated service delivery for HIV and SRH.

The **main strategy** utilized by the project to reach its objectives is community/CSOs capacity building. Two training modules on a) Health Systems, health Care Finaning, Budget Cycles and transition processes and b) integration of HIV and SRH services into heath systems will be elaborated by group of experts. Two regional trainings will be conducted, each involving 20 civil society representatives from the selected countries both from HIV and SRH fields. National partners in countries will then cascade these training modules on national levels to reach and engage more players. All training materials will be available for

civil society advocates from 29 countries of EECA in English and Russian languages through EHRA mailing lists, social media and on specific web page.

Other strategies used will be research and development of the advocacy tools on the national levels. Following national training, small grants will be issued to selected organizations in each country for: a) conducting qualitative research on national level exploring the options of HIV and SRH services integration, b) development of a policy brief decsribing options and benefits of integration for decision makers and c) conducting national workshop to develop the country integration strategy. As a result, each country will have developed tools for further joint advocacy of integration.

From the project initiation a Steering Committee with the overall oversight function will be created, comprised from representatives of major technical partners (WHO, UNAIDS, etc) and donor organizations (GF, OSF, Elton John Foundation) in the EECA region. Steering Committee will ensure broader usage of the project outputs for EECA region's civil society benefits. The final conference of the project will convene project implementers and beneficiaries in order to highlight achievements, major milestones and lessons learnt from the project.

Communities and civil society organizations in the selected four countries working in the fields of HIV and SRH represent **direct beneficiaries** of the proposed project. Indirectly, decision-making bodies within the countries – Country Coordination Mechanisms coordinating HIV and TB response (CCMs) with strong participation from civil society, national platforms or networks, as well as national governments, will benefit from the project.

The project's main objective envisages enhancing GF programs efficiency through contributing to communities/CSOs strengthening especially during the transition. Project activities will be undertaken in line with transitioning plans on national level. These documents as well as National AIDS Programs/Strategies and National Sexual and Reporoductive Health Programs/Strategies will become background information for the national training and advocacy activities, as well as for the strategic document regarding the integration of HIV and SRH servicies.

Project implementer organizations Tanadgoma and project partners from other countries have long-standing cooperation, which provides solid background for successful implementation of the project.